708/3-87/22 2 27012022

708/3-87/22
27-01-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

- გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია ქვეშეთი-კობის მაგისტრალის მშენებლობისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები და უკვე ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

463-01-2-202202151739

N 01/463
15/02/2022

**საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ხათუნა სამნიძეს**

ქალბატონო ხათუნა,

თქვენი 2022 წლის 27 იანვრის №708/3-87/22 განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №434/01; 27.01.2022) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

ზემოაღნიშნული პროექტი დაყოფილია ორ ლოტად. ლოტი 1-ის (გვირაბის ნაწილი) მშენებლობის დასრულების ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2024 წელს, ხოლო ლოტი 2-ის (გზის ნაწილი) 2023 წელს.

ლოტი 1-ის მონაკვეთზე მიმდინარეობს საავარიო გვირაბის ექსკავაციის სამუშაოები და მთავარი გვირაბის ბურღვითი სამუშაოები გვირაბის საბურღი დანადგარის (TBM) მეშვეობით. ამასთან მიმდინარეობს გვირაბის სეგმენტების დამზადება-მონტაჟი და მოპირკეთების სამუშაოები. დაწყებულია მთავარი გვირაბის სამხრეთი პორტალის მშენებლობისთვის საჭირო სამობილიზაციო სამუშაოები (ბეტონის ქარხანა, სამშენებლო ბანაკი და მისასვლელი გზა).

ლოტი 2-ის მონაკვეთზე მიმდინარეობს №2 და №3 ხიდების მშენებლობა, №1 გვირაბის ექსკავაციის სამუშაოები და დაიწყო გვირაბი №3–ის შესასვლელი პორტალის მოწყობა. ასევე, მიმდინარეობს წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები.

პატივისცემით,

კობა გაბუნია

მინისტრის მოადგილე

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722